Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის
საინფორმაციო ბიულეტენი

გამოცემა N1

იანვარი-მარტი, 2020

კვარტალურ გამოცემაში გაეცნობით:

„საქართველო და მსოფლიო 2020“ 03

ინოვაციები სოფლის მეურნეობაში 04

პარტნიორობა - შვედეთი და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია 05

“რაც-იოლი” Agronavti-ზე 06

კანონშემოქმედება - აგროტურიზმი

02 COVID-19-ის გავლენა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობაზე

“

კვლევის დროს ფერმერებმა დაასახელეს პანდემიის შედეგად არსებული გამოწვევები: ტექნიკასა და სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სათადარიგო ნაწილებზე შეზღუდული წვდომა; ფინანსებზე გაუარესებული წვდომა; მომავალი პერიოდის ბიზნესაქმიანობის დაგეგმვის სირთულე; ქსელურ სუპერმარკეტებთან მოლაპარაკებების სირთულე და გამოცდილების ნაკლებობა ციფრულ გაყიდვებზე გადასასვლელად.

”



08 ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

09 ქალი მეწარმეები

11 აგრარული პროფესიული განათლება

14 კვლევის ანგარიში

15 სხვა სიახლეები

COVID-19 -ის გავლენა ფერმერებსა და სოფლისმეურნეობაზე

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

COVID-19-ის სოფლის მეურნეობაზე გავლენის შესაფასებლად, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, 2020 წლის მარტის ბოლოს ჩაატარა ციფრული და სატელეფონო გამოკითხვა. მთლიანობაში, გამოიკითხა 175 ფერმერი და აგრობიზნესის წარმომადგენელი. კვლევამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი და სოფლის მეურნეობის ძირითადი ღირებულებათა ჯაჭვი.

კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია როგორც გამოკითხვის შედეგები, ისე საქართველოს ფერმერთა ასოციაციის რეკომენდაციები მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ COVID-19-ს უარყოფითი გავლენა აქვს საწარმო რესურსების ხელმისაწვდომობაზე და გამოკითხულთა 61% თვლის, რომ იმპორტირებული აგრო-საშუალებების ფასი გაიზარდა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ფერმერებსა და აგრობიზნესის წარმომადგენლებს დოლარში აღებული სესხი გაუძვირდათ. შესაბამისად, გამოკითხულთა 40%-მა დაადასტურა, რომ მათ ისარგებლეს ბანკის მიერ შემოთავაზებული სესხის გადავადებით. ფერმერთა განცხადებით, საგანგებო მდგომარეობის პირობებში არსებული შეზღუდვების გამო გართულებულია მუშახელის გადაადგილება. გამოკითხულთა 80% თანხმდება იმაზე, რომ ისინი ვერ შეძლებენ პროდუქტების გაყიდვას, რადგან ჰორეკა (HoReCa) სექტორი დაიხურა. ჰორეკა სექტორის დახურვამ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეცხოველეობაზე, მევენახეობაზე, სასათბურე მეურნეობასა და მეფუტკრეობაზე.

გაყიდვები

- **გამოკითხული ფერმერებისა და აგრობიზნესის 60% თანხმდება იმაზე, რომ ისინი ვერ შეძლებენ პროდუქტების გაყიდვას, რადგან HoReCa სექტორი (სასტუმრო/კაფე/რესტორანი) დაიხურა;**
  - **➢ HoReCa სექტორის დახურვამ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მეცხოველეობაზე, მევენახეობაზე, სასათბურე მეურნეობებსა და მეფუტკრეობაზე.**
- **გამოკითხულთა 65% ამბობს, რომ გაყიდვები არ გაზრდილა;**
- **75% ამბობს, რომ პროდუქტების გასაყიდი ფასი არ გაზრდილა.**



კვლევის დროს ფერმერებმა დაასახელეს პანდემიის შედეგად არსებული გამოწვევები: ტექნიკასა და სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის სათადარიგო ნაწილებზე შეზღუდული წვდომა; ფინანსებზე გაუარესებული წვდომა; მომავალი პერიოდის ბიზნესსაქმიანობის დაგეგმვის სირთულე; ქსელურ სუპერმარკეტებთან მოლაპარაკებების სირთულე და გამოცდილების ნაკლებობა ციფრულ გაყიდვებზე გადასასვლელად.

კვლევის ფარგლებში, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ მოამზადა რეკომენდაციები კრიზისის დროს და კრიზისის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავებისთვის. სოფლის მეურნეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური დაცვის პროგრამებთან ერთად, ასოციაციის რეკომენდაციაა, გათვალისწინებულ იქნას შემოთავაზებული რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის კრიზისზე მოკლევადიანი რეაგირებისათვის, აგრეთვე, სექტორის სისტემური განვითარებისათვის, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში.

კვლევის ანგარიში ხელმისაწვდომია საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ვებგვერდზე.

კვლევის ანგარიშის ქართული ვერსია: https://bit.ly/3f0d9Vv
კვლევის ანგარიშის ინგლისური ვერსია: https://bit.ly/3aOkXGo

საქართველო და მსოფლიო 2020

"ევროკავშირის ბაზარი დღითი დღე ფერმერული მეურნეობებისთვის მომხიბვლელი ხდება, თუმცა გამოწვევაც ბევრია"

საქართველოს მიერ მიღწეული პროგრესი, არსებული გამოწვევები და ახალი შესაძლებლობები განიხილეს, 26 თებერვალს, თბილისში გამართულ ეკონომიკურ კონფერენციაზე - „საქართველო და მსოფლიო 2020".

კონფერენცია ბრიტანული ჟურნალის - THE ECONOMIST წლიური გამოცემის „მსოფლიო 2020 წელს" ეგიდით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით უკვე მეორედ ჩატარდა.

კონფერენციის ფარგლებში რამდენიმე პანელი გაიმართა, მათ შორის დისკუსია შედგა თემაზე -საქართველო ევროკავშირის ბაზარზე – მიღწეული შედეგები და არსებული გამოწვევები, სადაც მთავრობის მაღალი რანგის პირებთან ერთად მონაწილეობა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნინო ზამბახიძემ მიიღო. მასთან ერთად პანელურ დისკუსიაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, გენადი არველაძე და საქართველოში ევროკავშირის ელჩი, კარლ ჰარცელი მონაწილეობდნენ.

„ევროკავშირი არ ახორციელებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების მხარდაჭერას, ასევე ხელს უწყობს სოფლის განვითარებას, რაც ჩვენი ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია. დღითი დღე ევროკავშირის ბაზარი ფერმერული მეურნეობებისთვის მომხიბვლელი ხდება, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება განათლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა და უწყვეტი მიწოდება. მინდა მადლობა ვუთხრა ევროკავშირს, ყველა დონორ ორგანიზაციას, მათ შორის გადასახადის გადამხდელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას უკეთესობისკენ ცვლიან.

როგორც ბატონმა ელჩმა აღნიშნა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება არის როგორც ტკივილის, ასევე ბევრი შესაძლებლობების და სიკეთის მომტანიც. თუმცა აუცილებლად უნდა ავღნიშნო მათ მიერ მხარდაჭერილი პროექტი ENPARD, რომელიც დაიწყო 2013 წელს და დღეის მდგომარეობით 180 მილიონი ევროს ალოკაცია მოხდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფერმერებმა მიიღეს როგორც ფინანსური დახმარება, ასევე განათლება. ამავდროულად ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი არ ახორციელებს მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების განვითარების კუთხით მხარდაჭერას, ასევე სოფლის განვითარებას უწყობს ხელს. ეს კი, ჩვენი ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია," განაცხადა ნინო ზამბახიძემ ეკონომიკურ კონფერენციაზე.

სიტყვით გამოსვლისას ნინო ზამბახიძემ ყურადღება გაამახვილა ფერმერული მეურნეობების სწრაფვაზე შევიდნენ ევროკავშირის ბაზარზე, თუმცა იქვე აღნიშნა პრორუსული პროპაგანდის აქტიურობა და გავლენა ამ პროცესებზე. „როდესაც ევროკავშირმა დაიწყო აქტიური მხარდაჭერა 500 მილიონიან ბაზარზე გავსულიყავით, ამავდროულად, ჩემდა სამწუხაროდ, პრორუსული პროპაგანდა ჩაერთო რეგიონებში. აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ ევროკავშირი არის ცუდი იმიტომ, რომ ის სტადარტები, რომელიც ევროკავშირს აქვს და უნდა დავაკმაყოფილოთ არის მიუღებელი მათთვის, როდესაც იგივე რუსეთის ბაზარზე ფერმერებს ძალიან მარტივად შეუძლიათ გაიტანონ პროდუქტი.

ამან გარკვეული პრობლემები და ბარიერები შეგვიქმნა, რადგან ჩვენ, სახელმწიფოს, კერძო სექტორს საერთო „მესიჯბოქსი" გვქონდა აგვეხსნა და გაგვეხსენებინა ის მძიმე წარსული, რომელიც რუსულ ემბარგოს უკავშირდებოდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ბაზრის დივერსიფიცირება, თუმცა რუსული პროპაგანდა მაინც ამ კუთხით ძალიან აქტიურად მუშაობდა და დღესაც აქტიურად მუშაობს რეგიონში," აღნიშნა ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ.

ეკონომიკურ კონფერენციაზე ნინო ზამბახიძემ რეგიონში არსებულ გამოწვევებზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, რეგიონებში დღესაც გამოწვევად რჩება ენის ბარიერი და პროდუქტის უწყვეტი მიწოდება. ასევე, მან სიტყვით გამოსვლისას ხაზი გაუსვა უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობას, რამაც ფერმერებს მისცა საშუალება სასწავლო ტურებში ჩართულიყვნენ.

ინოვაციები სოფლის მეურნეობაში

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

"ინოვაციები არა მხოლოდ პროდუქციის წარმოებას უწყობს ხელს, არამედ ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებასაც".

ის, რომ ინოვაციების და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა სოფლის მეურნეობის მომავლის გასაღებია და ფერმერული მეურნეობები შეზღუდული რესურსების პირობებში ცდილობენ სამყაროს საკვები პროდუქტები მიაწოდონ, ამაზე აღარავინ დავობს.

სწორედ, 26 თებერვალს, სამეგრელოს რეგიონში, ქალაქ ზუგდიდში, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში - თანამედროვე სოფლის მეურნეობაში ინოვაციების და ტექნოლოგიების მნიშვნელობა, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა, თამარ თორიამ მიიღო მონაწილეობა. "სოფლის მეურნეობაში ინოვაციების დანერგვა ნიშნავს, სოფლის მეურნეობის წარმადობის გაზრდას დიდი მოცულობის მონაცემების გამოყენებით, დრონების, სენსორების და ფერმის მართვის პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებებით, ასევე ონლაინ მარკეტინგული პლატფორმების და სხვა შესაძლებლობებით, რომლებიც აუმჯობესებენ კლიმატის ცვლილებებისადმი მდგრადობას და საკვანძო როლი აქვთსურსათის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფაში," განაცხადა თამარ თორიამ.

შეხვედრის ფარგლებში ფერმერთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ინოვაციების მნიშვნელობაზე საუბრისას აღნიშნა, რომ ინოვაციები არა მხოლოდ პროდუქციის წარმოებას უწყობს ხელს, არამედ ბუნებრივი რესურსების ეფექტურად გამოყენებასაც. „მნიშვნელოვანია ყველა მხარის აქტიური ჩართულობა და ფერმერებისთვის, განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის, ახალი შესაძლებლობების გაჩენა, სხვადასხვა პროექტების სანიმუშო პრაქტიკითა და სწავლებით და ფინანსების ხელმისაწვდომობით, ამ შემთხვევაში ძირითადად გრანტებით," აღნიშნა თამარ თორიამ.

USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში, ასევე მონაწილეობდნენ საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე, მარიამ ლაშხი და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს უფროსი, ილია თამარაშვილი. მათ ყურადღება გაამახვილეს ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებებზე სოფლის მეურნეობაში ინოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დასანერგად.

დისკუსიას წინ უძღოდა, ფერმერულ მეურნეობებში ინოვაციური პროექტების ხელშესაწყობად, USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ ახალი საგრანტო პროგრამის წარდგენა - „გრანტები სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვში ინოვაციური ცვლილების წასახალისებლად."

წლიური საგრანტო პროგრამის მიზანია, მოიძიოს და დააფინანსოს ინოვაციური იდეები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მიერ შერჩეულ ერთ ან რამდენიმე ღირებულებათა ჯაჭვზე (კენკრა, მწვანილი, კურკოვანი ხილი, თესლოვანი ხილი (ვაშლი), მალფუჭებადი ბოსტნეული, მანდარინი, სუფრის ყურძენი და კაკლოვანი კულტურები (ნუში, კაკალი, ფსტა)).

აღნიშნული გრანტები მიმართულია ახალი სამეწარმეო ინიციატივების შემუშავებაზე. ამ საგრანტო პროგრამის შერჩევის კრიტერიუმები შემუშავებულია, რათა ხელი შეუწყოს ამბიციური, მაგრამ რეალისტური წინადადებების დაფინანსებას.

პარტნიორობა - შვედეთი და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია შვედეთის საელჩოს პარტნიორი

31 იანვარს, შვედეთის საელჩომ თბილისში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ნინო ზამბახიძესა და აღმასრულებელ დირექტორს, თამარ თორიას უმასპინძლა.

„მოხარული ვართ, ვუმასპინძლოთ ჩვენს ახალ პარტნიორს - საქართველოს ფერმერთა ასოციაციას, რათა უფრო მეტი შევიტყოთ იმ დიდებული საქმეების შესახებ, რასაც ასოციაცია აკეთებს სოფლის მეურნეობის სექტორის გასაძლიერებლად და ქართველი ფერმერების ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად საქართველოში," აღნიშნულია შვედეთის საელჩოს თბილისის ოფისის ფეისბუქ გვერდზე.

დეტალებისთვის მიჰყევით ბულს: https://bit.ly/2S72TB9

შვედეთი - ასოციაციის ორგანიზაციული განვითარების ხელშესაწყობად

შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო აქტიურად უწყობს ხელს საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობას. ამ მიზნით პროექტის (ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობა) ფარგლებში, რომელიც 2019 წლის ნოემბრიდან მიმდინარეობს, განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- ასოციაციის ორგანიზაციული შეფასება;
- ასოციაციის ხუთ წლიანი სტრატეგიის შემუშავება (2020-2024 წლებისთვის);
- ასოციაციის მიერ KPMG-ის რეკომენდაციების შესრულება.

პარტნიორობის ფარგლებში, მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში ჰოლანდიური ორგანიზაცია „აგრიტერას" (Agriterra) მიერ, რომელიც ფოკუსირებულია განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში ფერმერული მეურნეობების ექსპერტული რჩევების მიცემაზე და ფერმერების პროფესიულ განვითარებაზე, განხორციელდა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზაციული შეფასება. „აგრიტერას" ექსპერტები ტონ დაფჰიუზი (Ton Duffhues) და ფრანკ ზიენსტრა (Frank Zeinstra) ეწვივნენ საქართველოს, სადაც შეხვდნენ როგორც ასოციაციის თანამშრომლებს, ასევე მის წევრ ფერმერებს.

„აგრიტერას" ექსპერტებმა საქართველოს ფერმერთა ასოციაციას შემდეგი შეფასება მისცეს: „ქოლგა ორგანიზაცია და ფერმერთა ხმა ქვეყანაში, რომელსაც ჰყავს 4000-ზე მეტი წევრი და ძლიერი ქალი ხელმძღვანელი."

„ასოციაციის ქარიზმატული და ღია თავმჯდომარე, ნინო ზამბახიძე, საბჭოს სხვა წევრ აგრარულ ექსპერტებთან და აღმასრულებელ დირექტორ, თამარ თორიას მენეჯერულ თვისებებთან ერთად, ასოციაციას საქართველოში საიმედო ორგანიზაციად და ფერმერთა ხმად აქცევს," აღნიშნულია „აგრიტერას" სტატიაში, რომელიც ორგანიზაციის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. სტატიის სრულ ვერსიას შეგიძლიათ გაეცნოთ ამ ბმულზე: https://bit.ly/2xZiHip

AGRI TERRA

„რაც-იოლი“ Agronavti-ზე

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

მერძეული ფურის საკვები ულუფის (რაციონის) გამომთვლელი პროგრამა

ფერმერული მეურნეობებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძვნებული პროგრამების შეთავაზება, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ერთ-ერთი პრიორიტეტია. მობილურ აპლიკაცია და ბლოგ „Agronavti-ზე“ განთავსებულია მერძეული ფურის საკვები ულუფის (რაციონის) გამომთვლელი, ქართულ ენაზე შედგენილი პროგრამა „რაც-იოლი 1,0", რომელიც კარგი საშუალებაა დამწყები და საშუალო ზომის ფერმერებისთვის და მარტივად გამოსაყენებელია.

პროგრამა „რაც-იოლი 1,0“ შეიქმნა პროექტის “ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ-ის სოფლის მეურნეობის სამინისტროს (USDA) მიერ და ახორციელებს Land O'Lakes Venture37-ი, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან (GFA) და მიჩგანის სახელმწიფო უნივერსიტეტთან (Michigan State University) პარტნიორობით.

პროექტის “ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ (SQIL) ხელმძღვანელის, იეტონ სტაროვას განცხადებით, პროგრამა მარტივად გამოყენებადია, როგორც მცირე და საშუალო მერძეული ფერმერებისთვის, ასევე კონსულტანტებისთვის, ექსტენციის და კვების სპეციალისტებისთვის.
პროგრამის საშუალებით შესაძლებელია:

- ✓ ფურის პარამეტრების მიხედვით დაადგინოთ მის დღიური საკვების ნორმა.
- ✓ საკვები ინგრედიენტების შერჩევით პროგრამა ითვლის საკვები ულუფის ჯამურ კვებით ღირებულებას, შესაბამისად საშუალებას იძლევა შედგეს დაბალანსებული ულუფა.
- ✓ საკვები ინგრედიენტების ფასების შეყვანის შემთხვევაში პროგრამა ადგენს საკვები ულუფის ჯამურ ფასს და შესაბამისად თითოეული ცხოველის კვებისთვის გაწეულ ხარჯებს.
- ✓ რეალიზებული რძის ფასის შეყვანის შემთხვევაში, პროგრამა ასევე ითვლის რძის შემოსავლის და კვების ხარჯის ნაშთს.
- ✓ ოპტიმიზაციის ფუნქცია დამატებით საშუალებას იძლევა განსაზღვროს ფურის კვების ყველაზე დაბალი ხარჯები.

პროგრამის თანაავტორი და პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი ალექსანდრე მაისაშვილი მიიჩნევს, რომ პროგრამის მთავარი უპირატესობა არის მისი სიმარტივე და დიზაინი. „ჩვენ შევეცადეთ თავიდან აგვერიდებინა მეცნიერული ტერმინოლოგიები. პროგრამა უნდა ყოფილიყო ერთის მხრივ მარტივი, რომ ჩვეულებრივ ადამიანს შეძლებოდა მისი გამოყენება, მაგრამ ამავე დროს კომპლექსური, რომ მას მოეწოდებინა სანდო და გამოსაყენებელი შედეგები. მსგავსი და უფრო კომლექსური პროგრამები არსებობს მსოფლიოს მასშტაბით. თუმცა, ჩვენი მოსაზრებით ეს არის პირველი ქართული პროგრამა, რომელიც არის საჯაროდ ხელმისაწვდომი,“ განაცხადა მაისაშვილმა.

პროგრამის კიდევ ერთი თანაავტორი და პროექტის „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ ტექნიკური დირექტორი ლაშა ავალიანი განმარტავს, რომ პროგრამას თან ახლავს გამოყენების დეტალური სახელმძღვანელო, სადაც ასევე მოყვანილია მოკლე ინფორმაცია მერძეული ფურის კვების თავისებურებებთან დაკავშირებით.

„პროგრამაზე მუშაობა საინტერესო და შემეცნებითი აღმოჩნდა, საჭირო გახდა ჩავწვდომოდით, როგორც ცხოველთა კვების თავისებურებებს, ასევე საკვები ულუფის (რაციონის) გამოთვლისათვის საჭირო ზუსტ მათემატიკურ ფორმულებს და ამ ყველაფრისთვის მიგვეცა სადა და პრაქტიკული სახე. ვიმედოვნებთ, რომ პროგრამა და მისი სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება მესაქონლე ფერმერებს, ერთის მხრივ, შეამცირონ საქონლის კვების ხარჯი და მეორეს მხრივ, სრულფასოვანი საკვები ულუფის (რაციონის) მიწოდებით უზრუნველყონ მათი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა,“ აღნიშნა ლაშა ავალიანმა.

როგორ ვისარგებლო პროგრამა „რაცი-იოლით“?

- გადმოწერეთ მობილური აპლიკაცია „Agronavti” ან ეწვიეთ ბლოგ აგრონავტს შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/2vBXTwg
- გადმოწერეთ პროგრამა და მისი გამოყენების დეტალური სახელმძღვანელო
- პროგრამის და მისი სახელმძღვანელოს შესახებ მოკლე ინფორმაცია, ასევე მოცემულია მობილურ აპლიკაცია აგრონავტზე - Agronavti. აპლიკაციის გადმოსაწერად ეწვიეთ Apple Store-სა და Google Play-ის და მოძებნეთ Agronavti.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ახალი კანონპროექტი აგროტურიზმის ხელშესაწყობად

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან ერთად აგროტურიზმის რეგულირების კანონპროექტზე მუშაობა 7 თვის წინ, იტალიაში სასწავლო ტურის შემდეგ დაიწყო და 20 თებერვალს, უკვე ქართულ რეალობაზე მორგებული ჩარჩო-დოკუმენტი განსახილველად საქართველოს პარლამენტის აგრარულ კომიტეტში შეიტანა.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის, ნინო ზამბახიძის განცხადებით, იტალიის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ამ ქვეყანას აგროტურიზმის ხელშეწყობის კუთხით აქვთ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ანვითარებს არა მხოლოდ ტურიზმს, არამედ ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებასა და სხვადასხვა მეწარმეობას, რადგან ადგილწარმოშობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

„ჩვენ ეს კანონი გამოვითხოვეთ, რის მიხედვითაც საქართველოს რეალობასთან დაახლოებული საკანონმდებლო პირველადი დოკუმენტი გავაკეთეთ და აგრარულ კომიტეტში შევიტანეთ. აგრარული კომიტეტი და მისი თავმჯდომარე ოთარ დანელია იქნებიან ინიციატორები ამ კანონპროექტის, რომელიც მოსმენებისა და კონსულტაციების შემდეგ, საბოლოო სახეს მიიღებს. რაც შეეხება დოკუმენტს, მასში საუბარია როგორც საშეღავათო მიდგომებზე, ასევე გარკვეული გადასახადებიდან გათავისუფლებაზე, აგროტურიზმის ობიექტებისთვის, რომელსაც მაგალითად აქვთ არა უმეტეს 5 დასაძინებელი ადგილი. ეს შეეხება მხოლოდ აგროტურისტულ ობიექტებს და მოხდება დეფინიცია რა არის აგროტურისტული ობიექტი - ეს არის მხოლოდ კვების ობიექტი, თუ საოჯახო ტიპის სასტუმრო, ამაზე დაიწყება კონსულტაციები. პროცესში ჩართულია ეკონომიკის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ტურიზმის სააგენტო," განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

როგორც ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე აღნიშნავს, მსოფლიოში აგროტურიზმის მიმართულებით ინტერესი სულ უფრო იზრდება და საქართველომ უნდა შეძლოს ფეხი აუწყოს ბაზრის მოთხოვნებს.

ამასთან, საქართველოს შიდა ტურიზმის და აგრო ტურიზმის წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფერმერთა ასოციაციამ შექმნა პროექტი „აგრო-სტოპი". დეტალები იხილეთ ბმულზე: https://bit.ly/2xcgyiU

2020 წელს, პარლამენტი აგროტურიზმის მარეგულირებელ კანონმდებლობაზე იმუშავებს, რომელიც სოფლის მეურნეობას და ტურიზმს დააკავშირებს ერთმანეთთან, რითაც მეტი სინერგია იქნება ფერმერებს და ტურიზმის ინდუსტრიას შორის.

With funding from
Austrian Development Cooperation
Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

60 ფერმერული მეურნეობა მესაქონლეობის, მეფრინველეობის, სასათბურე მეურნეობისა და აგროტურიზმის დარგებიდან მიიღებს დაფინანსებას

პროექტის „ფერმერული მეურნეობების მხარდაჭერი ინიციატივა“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ავსტრიის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს ზოგადი მეწარმეობის და ბიზნეს გეგმის შედგენის საკითხებში ტრენინგები ჩატარდა, რის შედეგადაც ბიზნეს გეგმების კონკურსში გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ. შერჩევის საბოლოო ეტაპზე მოხდა მონაწილე ბენეფიციარებთან გასაუბრება, რის საფუძველზეც, სპეციალური კომისიის მიერ შეფასდნენ და უმაღლესი ქულის მქონე 60 ბენეფიციარი საბოლოოდ მიიღებს დაფინანსებას. პროექტი საქართველოს 4 რეგიონში - ქვემო ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში ხორციელდება, სადაც დაფინანსდება მესაქონლეობის, მეფრინველეობის, სასათბურე მეურნეობისა და აგროტურიზმის დარგები.

პროექტის შედეგად შერჩეულ რეგიონებში მცირე ფერმერები გაიუმჯობესებენ ბაზარზე პოზიციას და მათი შემოსავალი გაიზრდება. აღნიშნული მიღწეულ იქნება პროდუქტიულობის ზრდით, პროდუქციის დივერსიფიკაციითა და ბაზრებზე უკეთესი ხელმისაწვდომობით.

„ფერმერული მეურნეობების მხარდამჭერი ინიციატივა“ არის 3-წლიანი პროექტი (2018-2021), რომლის მიზანია სოფლად სიღარიბის შემცირება, სოფლის მეურნეობაში ჩართული მცირე მეწარმეების კონკურენტუნარიანობისა და შემოსავლების ზრდით.

Yes – Georgia

გასულ წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, დონალდ ტრამპმა, თეთრ სახლში, ოვალურ კაბინეტში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ლიდერ ქალებს, მათ შორის საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს ნინო ზამბახიძეს უმასპინძლა. სწორედ, იმ ღონისძიებაზე ხელი მოეწერა მემორანდუმს „ქალთა გლობალური განვითარებისა და კეთილდღეობის ინიციატივის“ დაფუძნების შესახებ. ხელმოწერილი მემორანდუმის შედეგად, საქართველომ მიიღო დაფინანსება, USAID-ისა და თეთრი სახლის ფონდის - „ქალთა გლობალური განვითარების და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივისგან“.

YES-Georgia-ს პროგრამის პრეზენტაცია 31 იანვარს გაიმართა, სადაც სიტყვით გამოსვლისას ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ ახალგაზრდებისა და ქალი მეწარმეების გაძლიერებაზე ისაუბრა. მისი განცხადებით, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მხარს უჭერს ქალებს და ცდილობს, შექმნას მათზე მორგებული პროექტები.

„პირველად რომ შევიტყვე აღნიშნული პროგრამის შესახებ, გავიფიქრე, რომ რა იქნებოდა ამ 22 ქვეყანას შორის საქართველოც ყოფილიყო, ვინც ამ დახმარებას მიიღებდა. აღმოჩნდა, რომ საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც ეს პროექტი განხორციელდება. არა მარტო საქართველოში, არამედ ბევრ სხვა ქვეყანაში, ქალების ეკონომიკური გაძლიერება გამოწვევად რჩება, თუმცა, საქართველოში ბევრი რამ კეთდება, რომ ქალები უფრო წარმოჩენილები იყვნენ. მეწარმეობის სულისკვეთების ამაღლება ქალებში, განათლების ხელშეწყობა და ფინანსურ კაპიტალზე ხელმისაწვდომობა არის სწორედ, პროექტ YES-Georgia-ს პრიორიტეტული მიმართულებები, რაც საჭიროა ქალთა გასაძლიერებლად,“ აღნიშნა ნინო ზამბახიძემ.

პროგრამა YES-Georgia ხორციელდება ფონდი კრისტალის მიერ, USAID-ის და ქალთა გლობალური განვითარების და კეთილდღეობის (W-GDP) ინიციატივის ფარგლებში, ამერიკელი ხალხისგან მიღებული ფინანსური დახმარებით. პროექტს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას უწევს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალი.

შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, YES-Georgia ახალგაზრდების და ქალი მეწარმეების გაძლიერებაზე იმუშავებს. 2024 წლისთვის, პროგრამის ფარგლებში 2500-ზე მეტ ქალ მეწარმეს ექნება უკეთესი წვდომა ცოდნაზე, ფინანსებსა და ბიზნეს სერვისებზე. ეს დახმარება მათ შესაძლებლობას მისცემს გაზარდონ თავიანთი ბიზნესები და გააძლიერონ საქართველოს ეკონომიკა.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

ქალი მეწარმეები ლატვიის LDDK ვიცე-პრეზიდენტს შეხვდნენ

საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მეწარმე ქალები ლატვიის LDDK ვიცე-პრეზიდენტს, აივა ვიკსნას შეხვდნენ.

ქალმა მეწარმეებმა ლატვიის LDDK ვიცე-პრეზიდენტს, აივა ვიკსნას საკუთარი პროდუქტები გააცნეს, მასთან ერთად საექსპორტო პოტენციალზე იმსჯელეს და სამომავლო თანამშრომლობის გეგმებიც განიხილეს.

ქალ მეწარმეთა მთავარი გამოწვევა კვლავ განათლება და ფინანსებზე ხელმისაწვდომობაა, მსგავსი პროექტები კი მათ კვალიფიკაციის ამაღლებასა და დიდ კომპანიებთან კონტაქტების დამყარებაში ეხმარებათ. პროექტის მონაწილე მეწარმე ქალებმა ბიზნესის განსავითარებლად ცოდნისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად შესაბამისი ტრეინინგები უკვე გაიარეს.

ქალი მეწარმეები გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის "ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში" მონაწილეები არიან, რომელიც ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან თანამშრომლობით ხორციელდება.

Norwegian Ministry
of Foreign Affairs

აგრარული პროფესიული განათლება

"აგრო-დუო"-ს ორგანიზაციის წევრთა შესაძლებლობების გაძლიერება შვეიცარიის საუკეთესო პრაქტიკის საფუძველზე

აგრარულ პროფესიულ განათლებასა და შრომის ბაზარს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის ხელშემწყობი მაკოორდინირებელი ორგანიზაციის გაძლიერების მიზნით, 2020 წლის 15, 16 და 17 იანვარს, სექტორული უნარების ორგანიზაციის "აგრო-დუოს" წევრთა შესაძლებლობების გაძლიერების სემინარი გაიმართა.

სემინარს შვეიცარიიდან მოწვეული ექსპერტი ჯაკობს როში უძღვებოდა, რომელსაც სამთავრობო უწყების, დონორი ორგანიზაციების, კერძო ბიზნესისა და სექტორული ასოციაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მოწვეული ექსპერტი შვეიცარიის „აგრი-ალი-ფორმის" დამფუძნებელია, რომელიც ხელს უწყობს შვეიცარიაში აგრარულ სექტორში ფერმერების საჭიროებებზე მორგებული აგრარული პროფესიული განათლების განვითარებას.

საქართველოში, ორგანიზაციის დაფუძნების საჭიროება, სოფლის მეურნეობის სფეროში კადრების დეფიციტმა, აგარული პროფესიებისადმი ახალგაზრდების ნაკლებმა ინტერესმა და პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების აუცილებლობამ გამოიწვია.

პროექტი „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება" ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (MESCS) მხარდაჭერითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით.

30 მარტს, სექტორული უნარების ორგანიზაციის "აგრო-დუო"-ს პირველი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედირის ფარგლებში, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების და მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიკაცია, საგანმანათლებლო კონტენტზე მომუშავე ჯგუფის დაკომპლექტება და მთავრობის დადგენილების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სამუშაო ვერსიის დოკუმენტი განიხილეს.

კონკურსი "აგროგრაფი"

აგრარული პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით პროექტის "სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება" კონკურსი "აგროგრაფი"-ს ფარგლებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობით შემუშავდა აგრარული და კვების პროდუქტების წარმოებაზე ორიენტირებული ფილმები. საქართველოს ფერმერთა ასოციაციაციის მიერ დასახელებული თემატიკის გათვალისწინებით განისაზღვრა კრიტერიუმები და შემუშავდა პროფესიული ვიდეო მასალები შემდეგი მიმართულებით:

- რძისა და რძის პროდუქტების გადამამუშავებელი;
- მეფრინველე;
- დეკორატიული მცენარეების მებაღე - მეყვავილე;
- მეპურე.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

დასაქმების ფესტივალი - სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება სოფლის მეურნეობაში

28-29 თებერვალს, ექსპო-ჯორჯიაში დასაქმების ფესტივალი გაიმართა, სადაც სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ, აგრარული მიმართულებით სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლების დუალურ პროგრამებს გაცნობოდნენ.

"HRHub" – ის ორგანიზებით გამართულ დასაქმების ფესტივალზე, ახალგაზრდებს შესაძლებლობა ქონდათ 70-ზე მეტი კომპანიის წარმომადგენელს შეხვედროდნენ და ინფორმაცია მიეღოთ 700-მდე ვაკანსიის შესახებ. ფესტივალზე წარმოდგენილნი იყვნენ წამყვანი კომპანიები, რომლებიც დღეს ბაზარზე მსხვილი დამსაქმებლები არიან.

„მნიშვნელოვანია საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია აგრარული პროფესიული განათლების მიმართულებით არსებულ პროგრამებზე. ეს არის შესაძლებლობა, როდესაც პროფესიული განათლების მიღებასთან ერთად, შეგიძლია დასაქმდე. თანამედროვე მიდგომა განათლების სისტემაში, კერძოდ, სამუშაოზე დაფუძვნებული სწავლების დუალური პროგრამები აძლევს საშუალებას პროფესიულ სტუდენტს ხელშეკრულება გააფორმოს როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებასთან, ასევე კერძო სექტორთან და სწავლის დასრულების შემდეგ მას თამამად შეუძლია თქვას, რომ აქვს ფერმერულ მეურნეობაში მუშაობის მინიმუმ 2 წლიანი სამუშაო გამოცდილება და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი, რაც დღესდღეობით მოთხოვნადია დამსაქმებლების მხრიდან," განაცხადა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის პროფესიული განათლების ექსპერტმა, ნიკოლოზ მესხიშვილმა.

ფესტივალი WorldVision საქართველოს, საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან "GFA", "HRHub"-თან და ასოციაცია "ანიკა"-სთან პარტნიორობით გაიმართა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „კომპეტენციები დასაქმებისთვის" ფარგლებში.

კერძო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმები აგრარულ პროფესიულ განათლებაში

აგრარული პროფილის კომპანიების იდენტიფიცირება და მათი ჩართვა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის განხორციელებაში არის პროფესიულ განათლებაში წარმატების მიღწევის აუცილებელი წინაპირობა, რომელიც მნიშვნელოვანია, როგორც მოდელის დანერგვის, ისე მის განხორციელების ეტაპზე.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ „სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება" ფარგლებში ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების საფუძველზე შეიმუშავა კონცეფცია "აგრარულ პროფესიულ განათლებაში კერძო კომპანიების შერჩევის კრიტერიუმების შესახებ". ალტერნატიული კრიტერიუმების დაკმაყოფილების საფუძველზე კერძო სექტორი შეძლებს გახდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პარტნიორი სასწავლო საწარმო აგრარულ სექტორში.

World Vision
GEORGIA

პროფესიული სასწავლებლით სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სტუდენტების კმაყოფილების კვლევა აგრარულ სექტორში

პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების შესწავლის მიზნით, საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ განახორციელა კვლევა, რომელიც შემუშავდა პროექტის "სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება" ფარგლებში.
კვლევის (ე.წ. Tracer Study) მიზანია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა ცხოვრებაში განვითარებული ცვლილებების შესწავლა. კურსდამთავრებულთა კვლევის ამოცანებს კი ისეთი საკითხების შესწავლა წარმოადგენს, როგორიცაა: კურსდამთავრებულთა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლებლით კმაყოფილება; კურსდამთავრებულთა სამომავალო საგანმანათლებლო გეგმები, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარებამდე კურსდამთავრებულთა განათლების დონე, კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება, დაუსაქმებლობის შემთხვევაში უმუშევრობის მიზეზების იდენტიფიცირება, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა სამუშაო პირობებით კმაყოფილება, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ განათლებასა და კურსდამთავრებულთა საქმიანობას შორის კავშირი, იმ ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც დაეხმარა ან რომლებმაც შეუშალა ხელი ცვლილებების განხორციელებას და კურსდამთავრებულთა მიერ პროფესიული განათლების მიღებასთან დაკავშირებული სხვადასხვა ასპექტის შეფასება.

აგრარულ სექტორში კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების დეფიციტია

28 თებერვალს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის საბჭოს სხდომაზე, რომელსაც სხვა ბიზნეს ასოციაციებთან ერთად, საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე ნინო ზამბახიძეც ესწრებოდა, 2020 წლის გეგმები გააცნეს, მათ შორის კვლევითი ცენტრის, Think Tank-ის დაარსების შესახებ გააკეთეს განცხადება.

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ კი, აგრარულ სექტორში კვლევების აუცილებლობაზე ისაუბრა. „კვლევითი კომპონენტის საკმაოდ დიდი დეფიციტი გვაქვს ქვეყანაში, ხშირად გადაწყვეტილებები მიიიღება კვლევების გარეშე, რაც ქაოტურობას იწვევს და ხდება გადაწყვეტილებების შეცვლა. კარგი იქნება თუ ამას თავის თავზე აიღებს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომ ამა თუ იმ ბიზნეს სექტორში კვლევაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები იქნას მიღებული," განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

რა სახის საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებაა რძის ნაწარმის, საქონლისა და ცხოველთა კვების სექტორებში?

„ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში (SQIL)“ პროექტის დაკვეთით ჩატარებული კვლევის ანგარიში - „რძის ნაწარმის, საქონლის და ცხოველთა საკვების შესახებ არსებული საბაზრო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებებისა და მისი გავრცელების მექანიზმების შესახებ“ ხელმისაწვდომია მობილურ აპლიკაცია Agronavti-ზე. პროექტს ახორციელებს Land O'Lakes Venture37-ი საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით და დაფინანსებულია ამერიკის სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. კვლევა მომზადდა PMO Business Consulting-ის მიერ.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მესაქონლეობის სექტორში არსებული საქონლის ხორცის, რძის და ფერმერული მეურნეობისთვის საჭირო პროდუქტების საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის გავრცელების არსებული სისტემის შესწავლა და დღეს სექტორში ხელმისაწვდომი საბაზრო ფასების შესახებ ინფორმაციის შეფასება მისი სისრულის, სანდოობისა და საიმედოობის თვალსაზრისით.

5 მარტს გამართულ შეხვედრას ფერმერები, სექტორული ასოციაციები, სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებების დეტალური ანალიზის საფუძველზე, კვლევამ გამოავლინა ის ძირითადი ხარვეზები, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ინფორმაციის გავრცელების არსებული სისტემისთვის.

მეცხოველეობის სექტორში მომუშავე დარგობრივი ასოციაციებისათვის სტრატეგიული დოკუმენტები შეიქმნება

Land O'Lakes Venture37-ის პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში“ საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით, მეცხოველეობის სექტორში მომუშავე დარგობრივი ასოციაციებისათვის სტრატეგიული დოკუმენტების შექმნაზე მუშაობს. დოკუმენტები საკონსულტაციო კომპანია DEPA Consulting-ის მიერ შემუშავდება, რომლის მიზანია ასოციაციის ორგანიზაციული მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრა და მათ განსახორციელებლად ასოციაციის რესურსების განაწილება.

სტრატეგიული დოკუმენტები შეიქმნება სექტორში არსებული სამი ასოციაციისათვის, რომლებიც აერთიანებენ როგორც რძის მწარმოებელ ფერმერებს, ისე გადამამუშავებლებს და ოპერირებენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს ასოციაციებია: რძის მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა ასოციაცია "საქრძე", „მომავლის ფერმერი“ და ასოციაცია „მერძევეობა საქართველოში“.

სტრატეგიული დოკუმენტები დაეხმარება ასოციაციებს ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარებით და ადამიანური რესურსების რაციონალური მობილიზებით, თავიანთი საქმიანობის ხარისხი გააუმჯობესონ, რაც ასევე ხელს შეუწყობს მეცხოველეობის სექტორში ჩართული ფერმერებისა და გადამამუშავებლებისათვის მომსახურების ხარისხის გაზრდას.

USDA
LAND O'LAKES VENTURE 37

ჯარისკაცის რაციონი და ქართული გაუყინავი საქონლის ხორცი

ნინო ზამბახიძე თავდაცვის მინისტრთან ერთად ჯარისკაცების კვების ახალ რაციონს გაეცნო

საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ, ნინო ზამბახიძემ, საქართველოს თავდაცვის მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან და თავდაცვის ძალების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გორის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცებთან ერთად ისადილა. ისინი პირადად გაეცნენ ჯარისკაცების კვების ახალ რაციონს და ქართული გაუყინავი საქონლის ხორცით მომზადებული კერძი დააგემოვნეს.

2020 წლის იანვრიდან თავდაცვის ძალები ქართული, ნედლი (გაუყინავი) ხორცით მარაგდება. თავდაცვის მინისტრის მიერ დაწყებული ახალი პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება სამხედროების კვებითი მომსახურების სტანდარტებზე გამახვილდა.

ნინო ზამბახიძე მიესალმა ქართული ჯარის ქართული პროდუქტით მომარაგების საკითხს და აღნიშნა, რომ ინიციატივა ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და მეორეს მხრივ, ფერმერული მეურნეობების გაძლიერებას.

„თავდაცვის სამინისტროს ამ ძალისხმევით ქართული ფერმერული მეურნეობები განვითარდება, მათ ექნებათ სარეალიზაციო ბაზარი, რადგან ყველაზე დიდი შემსყიდველი ყოველთვის სახელმწიფოა. ამასთან, ძალიან საამაყო და პატრიოტული საქმეა, როდესაც ქართული ჯარი, მხოლოდ ქართული პროდუქტით მარაგდება," განაცხადა ნინო ზამბახიძემ.

Pechakucha Night Tbilisi vol. 9-ზე

Pechakucha Night Tbilisi vol. 9-ზე საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ სოფლის მეურნეობაში ინოვაციების შესახებ 20 სლაიდი 20 წამში წარადგინა. საუბარი შეეხო ფერმერთა ასოციაციის მიერ შექმნილ პროექტებს, მათ შორის მობილურ აპლიკაცია Agronavti-ს, გეოგაპ-ს და soplidan.ge-ს.

"პეჩა-კუჩას" პრეზენტაციის სტილი პირველად 2003 წლის თებერვალში იაპონიაში შემუშავდა და 2012 წლის მონაცემით, მსოფლიოს 534 ქალაქში ჩატარდა. პრეზენტაცია "პეჩა-კუჩა" შედგება 20 სლაიდისგან და თითო სლაიდზე სასაუბროდ მოცემულია 20 წამი.

"პეჩა-კუჩას" პრეზენტაციის სტილი პირველად 2003 წლის თებერვალში იაპონიაში შემუშავდა და 2012 წლის მონაცემით, მსოფლიოს 534 ქალაქში ჩატარდა. პრეზენტაცია "პეჩა-კუჩა" შედგება 20 სლაიდისგან და თითო სლაიდზე სასაუბროდ მოცემულია 20 წამი.

სხვა სიახლეები

DEMETER-ი

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია აქტიურად მუშაობს, იმისთვის რომ ქართველი ფერმერებს მისცეს საშუალება მიიღონ ინფორმაცია კარგი სასოფლო – სამეურნეო პრაქტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ფერმერების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და შემოსავლების ზრდას. ამ მიზნით გამორჩეულია პროექტი DEMETER-ი.

DEMETER-ი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ „Horizon 2020" კვლევებისა და ინოვაციების პროგრამის საგრანტო შეთანხმების (No. 857202) ფარგლებში. მასში ჩართულია 60 პარტნიორი ორგანიზაცია, რომლებიც წარმოადგენენ 18 ქვეყანას (მათ შორის 15 ევროკავშირის წევრია). საქართველოში პროექტის პარტნიორია საქართველოს ფერმერთა ასოციაცია.

პროექტი, რომლის მიზანია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, 2019 წლის სექტემბრიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში სადემონსტრაციო ნაკვეთები მოეწყო კახეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში, სადაც მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების საპილოტე რეჟიმში ინსტალაცია.პროექტი დაყოფილია 5 კლასტერად, რომელთაგან 2 საპილოტე მიმართულება ხორციელდება საქართველოში: ხილი და ბოსტნეული. კლასტერი აერთიანებს რამდენიმე მიმართულებას (მეხილეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა და მეფრინველეობა) და აკავშირებს პროდუქციას მოთხოვნა-მიწოდების ჯაჭვში.
„მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ამ ეტაპზე არ არის ევროკავშირის წევრი ქვეყანა, ამ პროექტში ჩართულობა ხაზს უსვამს მას როგორც ევროპული ბაზრის ღირსეულ წევრს და პარტნიორს," აღნიშნა პროექტის მენეჯერმა ირინა თხელიძემ.

აგროთამაში

ჩამოტვირთე, ითამაშე და გახდი ფერმერი !

აგროთამაში მობილური აპლიკაცია „Agronavti-ს" მომხმარებლებისთვის უკვე ხელმისაწვდომია . საგანმანათლებლო თამაში საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ინიციატივითა და USAID ზრდა პროექტი საქართველოში ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. სოფლის მეურნეობაში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, აპლიკაციის მომხმარებლებს საშუალება აქვთ რეალურ დროში ელექტრონულად/ციფრულად/სიმულაციურად მოიყვანონ 10 სახეობის პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, სტანდარტის დაცვით.

თამაში დაფუძნებულია გეოგაპის - ქართული, ადგილობრივი, ხილისა და ბოსტნეულის პირველადი წარმოების სტანდარტის პრინციპებზე და ხელმისაწვდომია iOS და Android მომხმარებლებისთვის.

აგრონავტის გადმოსაწერი ბმულები:
Android - https://play.google.com/store/apps/details?id=ge.org.gfa.gfa
iOS - https://apps.apple.com/us/app/agronavti/id1274568219

თამაშის ბმული:
iOS - https://apps.apple.com/us/app/geogap/id1489020788
Android - https://play.google.com/store/apps/details?id=com.BlackRoomGames.AgroGap

სხვა სიახლეები

აგრო-სტოპი / AGRO-STOP

აგრო-სტოპი / AGRO -STOP, წარმოადგენს საქართველოს ფერმერთა ასოციაციისა და USAID ზრდა საქართველოში ახალ პროექტს, რომლის მიზანია შიდა და აგრო-ტურიზმის პოპულარიზაცია საქართველოს სამ შერჩეულ რაიონში - სამეგრელო - ზემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთში და შედარებით მცირე მასშტაბით კახეთში (მაგალითად, პანკისში). აღნიშნულისთვის მოეწყო ავტო-სტოპით მგზავრობის იმიტაცია, რომელიც სათავეს თბილისში, რუსთაველის გამზირიდან იღებს.

დაბალ-ბიუჯეტიანი მოგზაურობა ითვალისწინებს პარასკევ საღამოს გამგზავრებას ავტო-სტოპის მეშვეობით და მოგზაურობის სრული პროცესის ვიდეო გადაღებას, ავტომობილის გაჩერებიდან დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე. მოგზაურები დეტალურად ყვებიან მგზავრობაზე; გვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეგვიძლია მოვიწყოთ დაბალ-ბიუჯეტიანი მოგზაურობა და გვაძლევენ მოგზაურობისთვის საჭირო ინფორმაციას, მათ შორის კვებისა და სასმელების ხარჯების ჩათვლით; გვიყვებიან იმ ადგილების შესახებ, სადაც შეგვიძლია შევჩერდეთ, დავლიოთ ყავა და წავიხემსოთ. ხდება მოგზაურობის ვიდეო-გადაღება და ვიდეოებს თან ერთვით სუბტიტრები ინგლისურ ენაზე. ვიდეოების ატვირთვა ხდება სოციალურ მედიაში, როგორებიცაა Facebook, Instagram და YouTube . მოგზაურობის წამყვანი ახალგაზრდა ქალია (საქართველოს ფერმერთა ასოციაციის კომუნიკაციის მენეჯერი), რომელსაც თან ახლავს ხოლმე სხვა სტუმარიც, ზოგჯერ ცნობილი ადამიანი. პროექტის განმავლობაში სულ 30 აგროტურისტული ადგილი იქნება გადაღებული. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, პროექტი ეწვია 9 ადგილს და შესაბამისი ვიდეოებიც მომზადდა.

საოჯახო სასტუმროს მფლობელი ლეილა აჩიშვილი სოფელი ჯოყოლო, პანკისის ხეობა

ქალბატონი ლეილა აჭიშვილი ფლობს საოჯახო სასტუმროს და სტუმრებს გასტრონომიულ ტურებს სთავაზობს. მასთან სტუმრობისას ტურისტებს შესაძლებლობა ეძლევათ დააგემოვნონ ტრადიციული კერძები. გასტრონომიული ტურების შემთხვევაში, ქალბატონ ლეილას შეუძლია ტურისტთა დიდი ჯგუფების მიღება.